

ივანე ჯავახიშვილისადმი

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფო ტახტზე მჯდომარე.

როგორც მლოცველი, მზედალელ ლანდთა მხილველი,
ძველს ქართულს სიტყვას, მოუხმობდი, აბატონებდი,
და ნათლდებოდნენ შენს თვალეში გასაკვირველად
ქართლის ცხოვრების ფერწასული კაბადონები.

ფოთლისა გვარად ცახცახებდა ფურცელი ძველი,
რომ გაცოცხლება შენს ბაგეთა შიგან ეღირსა:
ხან პატივყრილ ქრისტეანთა ცრემლები მწველი
და ხან ჭიხვინი გამხეცებულ თემურლენგისა.

ვით ჯადოკაცი, უხსოვარი დროის უბეში
შეიჭრებოდი, რომ იქიდან გამოგეტანა
პერგამენტივით დახვეული ფიქრის ღრუბელი
და შემდეგ მაინც "კი მაგრამა" გეთქვა ნეტარად.

დახავსებული პალატები ერთხმად ამღერდნენ,
ოდეს უტყვ სულში ჩასწვდათ შენი ხმა უვნებელი,
ნათელო კაცო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს,
შენ საქართველოს ისტორიის ხარ სჯულმდებელი!

ნათელო კაცო, თუმც განხვედი და განისვენე,
შენი ჭაღარა ძველებურად ისევ კაშკაშებს,
ისევ კაშკაშებს და წიგნისკენ უხმობს ისევე
შავულვაშიან და შავგვრემან ქართველ ვაჟკაცებს.

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფო ტახტზე მჯდომარე.